პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი. № 94 (12606) | შაბათი, 20 აპრილი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

სურათზე: ამიერკავკასიის რესპუბლიკების იდეოლოგიური დარგის მუშაკთა თათბირის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან მარჯვნივ — სარაითნოაშორისო გაზეთის რედაქტორი ა. გურგენიძე (საქართველოს სსრ), საქართველოს კპ გორის ქალაქკომის მდივანი თ. ბერიაშვილი, ლენინგორის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ნიაური (საქართველოს სსრ), პროპაგანდისტი გ. პირინოვა (აზერბაიჯანის სსრ), საქართველოს კპ სამტრედიის საწარმოო სამმართველოს კომიტეტის მდივნის მოადგილე თ. მიქაძე, სომხეთის კპ ჭელბაჯანის საწარმოო სამმართველოს კომიტეტის მდივნის მოადგილე მ. პოღოსიანი, ნახჩევანის საოლქო გაზეთის რედაქტორი გ. იბრაგიმოვი და კომუნისტური შრომის საამქროს უფროსი ვ. შაბოიანი (სომხეთის სსრ). ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი

ისტორიული ამოცანები, რომლებიც სკკპ XXII ყრილობამ და პარტიის პროგრამამ დაუსახა საბჭოთა ხალხს, მოითხოვს მშრომელთა უფართოესი მასების კომუნისტური შეგნების შემდგომ ზრდას. იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალება უნდა მოხმარდეს პარტიის წინასწარდასახულობათა, კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანათა წარმატებით განხორციელებას. პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგ ამოცანებს განიხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მოწვეულია 28 მაისს.

პარტიულ ორგანიზაციებში, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს შორის, შემოქმედებითს ინტელიგენციაში ჩაღდება მზადება პარტიის ცხოვრების, საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის.

იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის, კომუნისტურ მშენებლობაში მისი როლისა და მნიშვნელობის ზრდის საკითხებს მიეძღვნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი, რომელიც გაიხსნა 19 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

თათბირში მონაწილეობენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები, ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივნები, საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების მდივნები, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პრესის, რადიოს, ტელევიზიის, უმაღლესი და საშუალო სკოლის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები.

შესავალი სიტყვით თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარემ **გ. ნ. ბოჩკარიოვმა.**

თათბირის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით ხანგრძლივი ტაშის გრიალში აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით.

მოხსენება „პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის შესახებ“ გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული იდეოლოგიური კომისიის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრმა **ა. ვ. რომანოვმა.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს: სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ო. მ. ბაღდასარიანმა,** აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ხ. გ. ვეზიროვმა,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. გ. სტურუამ,** კომპოზიტორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **კ. ა. კარაევმა,** რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა **ლ. ს. ხარბედიამ,** სომხეთის კომპარტიის ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ბ. ღარიბჯანიანმა,** პროპაგანდისტმა, სკკპ XXII ყრილობის სახელობის ნავთობსარეწის სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ა. ა. ჯაფაროვმა.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს წევრები **ვ. ი. ახუნდოვი** — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, **ო. დ. გოცირიძე** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, **ი. ნ. ზარობიანი** — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. თათბირში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების ამიერკავკასიის რესპუბლიკების სექტორის გამგე **ვ. პ. შამანსკი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები **დ. ს. ზემლიანსკი, მ. ი. კუჭავა, ა. ტ. სტუჩენკო,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები **გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზია.**

თათბირი განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

ქართული ხელოვნების ოსტატთა კონცერტი

გუშინ საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი ქართული ხელოვნების ოსტატთა განკარგულებაში იყო. ხალხის მთელი სულის მგზნებარება, მთელი მისი სიუხვე უძღვნეს მათ სტუმრებს, ამიერკავკასიის რესპუბლიკების იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირის მონაწილეებს.

კონცერტი დაიწყო კომპოზიტორ რ. ფალიაძის სიმღერით „სამშობლო გვიხმობს“, რომელიც შესასრულეს თეატრის სოლისტებმა, გუნდმა და ორკესტრმა და საქართველოს სახელმწიფო კაპელამ.

მომჯადოებელი მელოდია მოეფინა დარბაზს: ყღერს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ შესავალი.

მძლავრად ყღერს დარბაზში დუნაევსკის სიმღერა „მიფრინავენ მტრედები“, ალიროვის „ბაქოელ მენავთობეთა სიმღერა“, მელიქიანის სომხური ხალხური სიმღერა. მათ ასრულებს საქართველოს სახელმწიფო კაპელა (სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი გ. ბაქრაძე).

ისმის ახალი მელოდია. იგი ყველასათვის ცნობილია — ეს არის „ეი, უხნევ“. ამ სიმღერას ასრულებს საქართველოს დამსახურებული არტისტი, ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი თ. მუშკუდიანი.

ხალხური სიმღერის სილაღე, სიხალისე ცხოვრობს ცეკვაშიც. სცენაზეა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი. (ხელმძღვანელები სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. სუხიშვილი და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. რამიშვილი). მზარდი რიტმით ხიბლავს მაყურებლებს ცეკვები „შეჯიბრება“, „ახედრული“. სულ უფრო ეზრდება მათი ტემპი.

დარბაზში შეკრებილებმა გულთბილად დაუკრეს ტაში სსრ კავშირის სახალხო არტისტს პ. ამირანაშვილს, რომელმაც შთაგონებით შეასრულა არია ვერდის ოპერა „რიგოლეტოდან“. დიდი წარმატება ხვდა წილად კომპოზიტორ ს. მირიანაშვილის „კომუნიზმის მშენებელთა სიმღერას“, რომელიც შეასრულა საქართველოს ფილარმონიის ვოკალურმა დუეტმა — ც. ციცქიშვილმა და ნ. მკერვალიძემ.

თავისი ოსტატობით მაყურებელი გააცხარა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა, რომელმაც აჩვენა „საქორწილო“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ა. კავსაძე).

ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმბალეტო დასმა ბრწყინვალედ შეასრულა რაველის „ბოლერო“, რომელიც დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ვ. ჭაბუკიანმა.

მხურვალედ შეხვდნენ მსმენელები კუბური ხალხური სიმღერას, რომელიც შეასრულა საქართველოს ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტალურმა კვარტეტმა (სამხატვრო ხელმძღვანელი რ. ბარძიმიშვილი), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის გ. დოლიძის, ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტების რ. კაკაბაძის, ზ. ხოროვას გამოსვლას.

დირიჟორობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მირცხულავა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ფალიაშვილი. კონცერტის რეჟისორი იყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. ჩხარტიშვილი.

კონცერტმა, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, ცხადყო ქართველი ხალხის ხელოვნების სიმდიდრე და ორიგინალობა. (საქდესი).

მადრიდი

გენერალისიმუს ფრანსისკო ფრანკოს ბაბამონვეს

თქვენო ალმატებულებავ,

ეს-ეს არის შევიტყე, რომ მადრიდში სიკვდილი მიუსაჯეს ხულიან გრიმაუს მოქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა თითქოს სამოქალაქო ომის წლებში. ამ ცნობას არ შეუძლია არ გამოიწვიოს ყველა კეთილი ნების ადამიანის დიდი შეშფოთება. ვერავითარი სახელმწიფო ინტერესებით ვერ აიხსნება ის აქტი, რომ სამოქალაქო ომის დამთავრების 25 წლის შემდეგ ესპანეთში შეიძლებოდეს დასაჯონ ადამიანი სამხედრო დროის კანონებით.

ჯელმძღვანელობ რა ჰუმანურობისა და ადამიანურობის გრძნობებით, დაბეჯითებით გთხოვთ გააუქმოთ ეს განაჩენი და შეუნარჩუნოთ სიცოცხლე ხულიან გრიმაუს. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობის უფართოესი წრეები დიდი კმაყოფილებით შეხვდებიან თქვენს ასეთ ჰუმანურ ნაბიჯს.

ნ. ხრუშჩოვი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, ნორჩი თაობისა და ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულს“ დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოზანიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

ქ. თბილისი.
1963 წლის 19 აპრილი.

მეგობრული შეხვედრა

მოსკოვი, 18 აპრილი. (საქდესი). აქ ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრ ნ. ს. პატოლიჩევის მეთაურობით და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ლი ციანის მეთაურობით.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა შეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით განიხილეს ამ ორ ქვეყანას შორის 1963 წლის საქონელბრუნვის საკითხები.

დევიდ ა. მორსი ეწვია გ. დ. ჯავახიშვილს

ზრდომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი ბ-ნი დევიდ ა. მორსი 19 აპრილს ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. დ. ჯავახიშვილს, მასთან ერთად იყვნენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის პირადი თანაშემწე ფ. ბლამონი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. გორიშკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ვ. ლ. ბორისოვი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დრო ახლავან მათ.

საუბრის დროს გ. დ. ჯავახიშვილმა ბ-ნ დევიდ ა. მორსის თხოვნით უამბო მას საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესახებ, ქართველი ხალხის წარმატებათა შესახებ შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში.

ბ-ნმა დევიდ ა. მორსმა თქვა: მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი საქართველოს, მის მიღწევებს. მან მოკლედ დაახასიათა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე დასახული ამოცანები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორგანიზაციის საქმიანობის მიზანია დაამყაროს ურთიერთგაგება, განამტკიცოს კავშირურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებს შორის.

გ. დ. ჯავახიშვილმა უსურვა ბ-ნ დევიდ ა. მორსს წარმატებანი თავის მოღვაწეობაში.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაპაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ვ. მ. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ბ. ა. ჩხეიძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე და სხვები. (საქდესი).

მეგობრული შეხვედრა

ოტოლოლეთის სამხედრო დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 18 აპრილი. (საქდესი). სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშალის რ. ი. მალინოვსკის მოწვეულთ დღეს მოსკოვს ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა მონღოლეთის სამხედრო დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო არმიის სამეთა მინისტრი და მონღოლეთის სახალხო არმიის მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ჟ. ლხაგვასურენი.

რეპატრიანტ სომეხთა ახალი ჯგუფი დაბრუნდა სამშობლოში

ერევანი, 19 აპრილი. (**საქდესის კორ.**). გუშინ აქ რეპატრიანტ სომეხთა ახალი ჯგუფი ჩამოვიდა ირანიდან. ჯგუფის შემადგენლობაშია 97 კაცი — ძირითადად ხელოსნები.

საბჭოთა კავშირის ახალი მოქალაქეები იცხოვრებენ რესპუბლიკის ახალგაზრდა სამრეწველო ცენტრში — ქალაქ რაზდანში. მათთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი ბინები. ყველა შრომისუნარიანისათვის განსაზღვრულია სამუშაო სპეციალობის მიხედვით.

ჩინეთ-ინდონეზიის მოლაპარაკება

ჯაკარტა, 19 აპრილი. (საქდესი). ბალის კუნძულზე დაიწყო ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ლიუ შაო-ცის პოლიტიკური მოლაპარაკება. მოლაპარაკებაში მონაწილეობენ საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო და ჩინ ი.

ტოლიატის გამოსვლა

ფროზინონე (ცენტრალური იტალია), 19 აპრილი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი **ა. კრასიკოვი** იუწყება:

15 ათასი კაცი შეიკრიბა 18 აპრილს ქალაქ ფროზინონეს მთავარ მოედანზე, შუა გზაზე რომსა და ნეაპოლს შორის, რათა მონაწილეობა მიეღო იტალიის კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო მიტინგში და მოესმინა პარტიის გენერალური მდივნის პალმირო ტოლიატის გამოსვლა.

იტალიის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელმა, რომელსაც მკუხარე ოვაციით შეხვდნენ, ტრიბუნაზე გამოსვლისას, თავისი სიტყვა ასე დაიწყო: „მოქალაქეთა ამ მნიშვნელოვანი ისამბლეის წინაშე უნებლიედ მგგრის ღიმილს ბუოეტაზიული პროპაგანდის გაცვეთილი ფრაზების მოგონება, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ გაჰყვირის კომუნისტური პარტიის ყბადაღებულ „კრიზისზე“.

„პერსპექტივა, რომელსაც ხალხს ვთავაზობთ ჩვენ, კომუნისტები, — გადაცხადა შემდეგ ტოლიატმ, — ეს არის შემობრუნება მარცხნივ ჩვენი ქვეყნის განვითარების მიმართულებით“.

დასასრულ ტოლიატიმ ახალი წარმატებანი უსურვა ფროზინონეს მშრომელებს თავიანთი რიგების ერთობის განმტკიცებაში, მშვიდობიანი, დემოკრატიული და სოციალისტური იტალიისათვის ბრძოლაში.

უკანასკნელ საათს

ვ. ი. ლენინის დაბადების 93-ე წლისთავისათვის

დიდი მგზადება

ფოთი. (საკ. კორ.). შავიზღვისპირა ქალაქის მშრომელები ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 93-ე წელს. შესანიშნავ საწარმოო წარმატებებს აღწევს ქალაქის მრეწველობა, რომელმაც პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ამ დღის ალსანიშნავად შრომითს ვახტზე დგანან ნავსადგურის, წისქვილკომბინატის, პურკომბინატის, ქარხანა „ფოთელექტროაპარატ ი ს“ კოლექტივები.

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში, საქალაქო ბიბლიოთეკაში, სამკითხველოებსა და წიგნეულ კუთხეებში, დიდი სამრეწველო ქარხნებისა და ფაბრიკების ბიბლიოთეკებსა და პოლიტიკური განათლების კაბინეტებში, სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის გამოფენა.

ყველგან, — საწარმოდაწესებულებებში, ახალმშენებლობებზე მოსახლეობისათვის იკითხება ლექცია-მოხსენებები, იმართება საღამოები.

ზ ო რ ი. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის დაბადების 93 წლისთავისათვის მზადებას მიეძღვნა საჯარო სხდომა, რომელიც მოაწყეს პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა და კულტურის უნივერსიტეტის რექტორატმა ბამბეულის კომბინატის პარტიულ კომიტეტთან ერთად.

საჯარო სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორი ს. გაჩეჩილაძე, „ვ. ი. ლენინი ლიტერატურის შესახებ“, დოცენტი გ. ჩიტაია — „ვ. ი. ლენინი ლიტერატურასა და ხელოვნებაში მაღალი იდეურობისა და ოსტატობისათვის“, დოცენტი შ. ქურდაძე — „ვ. ი. ლენინის სახე მხატვრულ ლიტერატურაში“ და რეჟისორი გ. აბრამაშვილი — „როგორ ვმუშაობდი ლენინის მხატვრულ სახეზე სპექტაკლში „მრისხანე წლები“.

ბოლოლეთის ალაფვა

ბამაკო, 19 აპრილი. (საკდესი). მალის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოდიბო კეიტამ მიიღო საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხ. ა. სკაჩკოვი.

მალის ხალხისა და მთავრობის სახელით მოდიბო კეიტამ გულითადი მადლობა უძღვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და საბჭოთა ხალხს იმ ეკონომიური დახმარებისა და ტექნიკური ხელშეწყობისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს მალის რესპუბლიკას.

გულითადი მადლობა

ბამაკო, 19 აპრილი. (საკდესი). მალის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოდიბო კეიტამ მიიღო საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხ. ა. სკაჩკოვი.

მალის ხალხისა და მთავრობის სახელით მოდიბო კეიტამ გულითადი მადლობა უძღვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და საბჭოთა ხალხს იმ ეკონომიური დახმარებისა და ტექნიკური ხელშეწყობისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს მალის რესპუბლიკას.

ფოლადი და ძმობა

რუსთავი — სუმგაითი

□

დიდებულად არის ნათქვამი: რუსთავი აზერბაიჯანის სუმგაითია, ხოლო სუმგაითი — საქართველოს რუსთავი. საქმე ის არის, რომ ამ ორი ინდუსტრიული ქალაქის — მეტალურგიისა და ქიმიის ქალაქების მშენებლობა ერთსა და იმავე დროს დაიწყო.

დაიწყო იგი 1944 წელს. ამავე წელს საფუძველი ჩაეყარა მათს მეგობრობასაც. თვე ისე არ გავა, რომ რუსთაველებმა სუმგაითელების ამბავი არ გაიგონ. სუმგაითელებსაც აინტერესებთ რუსთაველების ამბავი. ასეც უნდა. ურთიერთშორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც უკვე ტრადიციად არის ქცეული, თავისთავად მოითხოვს მჭიდრო ურთიერთობას.

ამჯერადაც ასე მოხდა. ახლა. როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება პირველი მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილემ ზურაბ ჩხეიძემ მოიგონა თავისი უახლოესი მეგობარი. აზერბაიჯანის მილსაგლინავი ქარხნის მთავარი ინჟინერი ბორის ბასის-ძე ახმედოვი და ტელეფონით ელაპარაკა მას:

ზ. ჩ ხ ე ი ძ ე: ბორის ბასის-ძევ. გილოცავთ პირველი მაისის მომავალ დღესასწაულს და ამავე დროს ჩვენი ქარხნის კოლექტივის სახელით მივესალმები აზერბაიჯანელ ხალხს თავისი ეროვნული დღესასწაულის — აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო. გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ბ. ა ხ მ ე დ ო ვ ი: გმადლობთ, დიდად გმადლობთ. ჩვენც გილოცავთ პირველი მაისის დღესასწაულს. აზერბაიჯანელმა ხალხმა განსაკუთრებული ზეიმის პირობებში აღნიშნა თქვენი ეროვნული დღესასწაულიც, რომელიც თებერვალში იყო.

ზ. ჩ ხ ე ი ძ ე: რა მდგომარეობაა თქვენს ქარხანაში, როგორ სრულდება საწარმოო გეგმები?

ბ. ა ხ მ ე დ ო ვ ი: საქმე კარგად მიდის პირველ კვარტალში გადაჭარბებით გამოვუშვით დიდძალი მილები. ფოლადი. განსაკუთრებული შრომითი აღმავლობაა აპრილში. საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში აზერბაიჯანელი მეტალურგები სულ ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. საინტერესოა ვიცოდეთ თქვენი ამბავიც.

ზ. ჩ ხ ე ი ძ ე: ტემპებს არც ჩვენ ვაჩენებთ. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმებს დიდი გადაჭარბებით ვასრულებთ. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ მემარტენეები, მილმგლინავები და მგლინავები. ძალზე კარგი შედეგები გამოიღო საგლინავი დგანების კომპლექსურ ავტომატიზაციაზე გადაყვანამ და მარტენის ღუმელების სრულმა რეკონსტრუქციამ. ამჟამად ვნერგავთ ბოყვების მაგნიუმიანი თუჯით ჩამოსხმის ახალ ტექნოლოგიას, რომელიც ერთ ტონა ფოლადზე 10-11 კილოგრამით შეამცირებს თუჯის ხარჯს და წლიურად გამოიწვევს ერთი მილიონი მანეთის ეკონომიას. გათვალისწინებული გვაქვს ეს სიახლე წელს მაისში დავნერგოთ.

ბ ო რ ი ს ბ ა ს ი ს-ძ ე, ქართველ მეტალურგებსაც აინტერესებთ ის სიახლენი, რასაც თქვენ ნერგავთ წარმოებაში. ხომ არ იტყოდით ორიოდე სიტყვას მათ შესახებ?

ბ. ა ხ მ ე დ ო ვ ი: რატომაც არა, სიახლენი ბევრია. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ ამჟამად მასობრივად ვნერგავთ მაღალი სიმტკიცის მილების ტექნოლოგიას. გადავიღეთ რა თქვენი გამოცდილება, მცირე ხნის წინათ შევუდექით დგან „250“-ის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვას. ჩვენ მოგვწონს თქვენი თაოსნობა მარტენის ღუმელების რეკონსტრუქციის დარგში. შევეცდებით ეს გამოცდილებაც დავნერგოთ.

ზ. ჩ ხ ე ი ძ ე: ჩვენც მოგვწონს თქვენთან დანერგილი სიახლე მაღალი სიმტკიცის მილების ტექნოლოგიის საქმეში. უდავოდ დავნერგავთ მას...

საუბარმა 20 წუთს გასტანა.

ჯუთაისელ ფეიქართა სახელით

ჯუთაისელ ფეიქართა სახელით ვულოცავ მომავალ პირველი მაისის დღესასწაულს და ახალ გამარჯვებებს ვუსურვებ ჩვენს ლენინაკანელ თანამოსაქმეებს.

კომბინატის კოლექტივმა 102.4 პროცენტით შეასრულა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის დავალება. სამშობლოს გეგმის ზეგით მივეცით 186 ათასი მანეთის პროდუქცია. განვლილ პერიოდში კომბინატმა პროდუქციის

ხაზზეა ქუთაისი

გვესაუბრება აბრეშუმის კომბინატის დირექტორი
აკაკი დადუნაშვილი

□

თვითღირებულების შემცირების გზით 17 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო.

ამჟამად ჩვენ 18 ასორტიმენტის ბუნებრივი და ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილებს უშვებთ. აქედან მარტო მიმდინარე წელს საკუთარი ძალებით 5 ახალი ასორტიმენტის ქსოვილი ავითვისეთ. საგულისხმოა, რომ პირველი კვარტალის დავალება შეასრულეთ ყველა. დაწესებული ასორტიმენტისა და ნომენკლატურის მიხედვით. მნიშვნელოვნად გავადიდეთ პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება.

ახლა, საპირველმაისო შეჯიბრების დღეებში, ათობით ბრიგადა, ბევრი ფეიქარი დაწინაურდა. მთელი კოლექტივი ამაყობს გორგი კუტივაძის, ნოდარ ქავანაძის, სანა მაჭავარიანის და გიგა ბურჯანაძის კომუნისტური შრომის ბრიგადებით.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეჯიბრების მოწინავე ხაზზე **გორგი კუტივაძის მკსოველთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელიც ლენინაკანელ გარეგინ ტონოიანის ბრიგადას ეჯიბრება.** ამ ბრიგადამ განვლილ სამ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 3.662 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, ამასთან 10 პროცენტით გაადიდა პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება.

ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა ოთხი თვის დავალება ვადაზე სამი დღით ადრე გავანაღდოთ.

ტრადიციული შეჯიბრება ხელს შეუწყობს ჩვენი ორივე ქალაქის ფეიქრებს ვადამდე შესრულონ შვიდწლედის მეხუთე წლის დავალება. **ამ შეჯიბრებაში არავინ არ იქნება წაგებული და დამარცხებული, მოიგებს კი ორივე მხარე.** კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ ხალხთა ლენინური მეგობრობის ნიშნით გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების დროშა.

ხაზზეა ლენინაკანი

გვესაუბრება მაისის აჯანყების სახელობის საფეიქრო კომბინატის დირექტორი
გარნიკ გარბინიანი

□

გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ძმური სალამი გადასცეთ ჩვენთან შეჯიბრებაში ჩაბმულ ქუთაისის აბრეშუმის საქსოვი კომბინატის კოლექტივს.

ლენინაკანის საფეიქრო კომბინატის კოლექტივი სპირველმაისო შრომითს ვახტზე დგას და ახალ საწარმოო საჩუქრებს უმზადებს დედასამშობლოს.

რვა წლის წინათ ქუთაისის მშრომელთა დელეგაციასთან ერთად ჩვენს კომბინატს ეწვია აბრეშუმის კომბინატის ქვეოსტატი, მოწინავე ბრიგადირი გორგი კუტივაძე, რომელიც ახლოს გაეცნო და შეჯიბრებაში გამოიწვია ჩვენი კომბინატის ბრიგადირი გარეგინ ტონოიანი. ამ დროიდან გულთბილი მიწერ-მოწერა აქვთ. გვინდა გაცნობოთ, რომ **გარეგინ ტონოიანის მკსოველთა ბრიგადამ მთელ კომბინატში. ყველას გაუსწრო და წელს პირველი კვარტალის დავალება 135 პროცენტით შეასრულა.** ჩვენ გვაინტერესებს როგორც საერთოდ ქუთაისელი ფეიქრების, ისე გორგი კუტივაძის ბრიგადის შრომითი მაჩვენებელი.

მეგობრები ერთმანეთისგან სწავლობენ

• სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში!

ჯაფარიძელ კოლმეურნეთა გამოცდილება

როგორ აღწევენ ჯაფარიძელი კოლმეურნეები ყოველ ორ ჰექტარ სახნავზე გაასუქონ თითო ღორი

გამოცდილების გადატანა იგივე როდია, რომ გადავიტანოთ ჩემოდანი, მოვკიდოთ სახელურს ხელი და გავგზავნოთ ახალ ადგილას. გამოცდილებას ვერ შეფუთავ, მას ვერ გადაიტან ერთი ადგილიდან მეორეზე ვერავითარი ტარით. სამირეოა, რომ ადგიანებმა შეისწავლონ გამოცდილება იქ, სადაც არის, აითვისონ და გამოიყენონ.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

ბიბლიოთეკა

ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო არტელია სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა კოლმეურნეობის ეკონომიკა, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, განმტკიცდა დისციპლინა. საზოგადოებრივი მეურხეობა აქ კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი და მთავარი წყაროა.

განსაკუთრებით აღმავლობის გზით მიდის საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

ბევრი შესანიშნავი ინიციატივა დაიბადა ჯაფარიძელ მეცხოველეთა შორის. მათს თაოსნობას — ყოველ ორ ჰექტარ სახნავზე გაასუქონ თითო ღორი — ფართოდ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მეცხოველეები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიურომ მოიწონა სოფელ ჯაფარიძის სასოფლო-სამეურნეო არტელისა და სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სხვა მეურნეობების კოლმეურნეთა ინიციატივა, რომელებმაც მოუწოდეს სოფლის მეურნეობის მუშაკებს გაშალონ შეჯიბრება ღორის მასობრივად სუქების მოსაწყობად, ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გასაადიდებლად. ეს ძვირფასი ინიციატივა — დაეხმარება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს ფარმატებით შეასრულონ უგიდწლედის მეხუთე წელს ნაკისრი ვალდებულება — გაასუქონ 250 ათასი ღორი.

ჯაფარიძელ მეცხოველეთა გამოცდილებაზე მოგვითხრობენ ამ გვერდში მოთავსებული წერილები.

მიწა და ადამიანი



რაღდენი რამის მოცემა შეუძლია ამ დალოცვილ მიწას! მშრომელი კაცისათვის ეს ძველთაგანვე უტყუარი ჭეშმარიტება იყო. მაგრამ რა საოცრად ამაღლდა მიწის ყადრი ჩვენს დროში, როგორ დგება მისი ყოველი ჰექტარი კომუნიზმისათვის ბრძოლის სამსახურში.

მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დასმული ის ამოცანა, რომ უმოკლეს ვადაში შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებით გვაღელვებს ჩვენ, სოფლის მეურნეობის მუშაკებს. პროდუქტების სიუხვის შექმნა, რაც კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა, ჩვენგან მოითხოვს მიწის ყოველი ჰექტარის გონივრულად გამოყენებას, მცირე დანახარჯებით მეტი პროდუქციის მიღებას.

და სწორედ ეს ამოცანა დაგვისახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. მე ერთი თვის წინათ რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების მდივნებისა და სამმართველოთა უფროსების თათბირზე ამხანაგი ხრუშჩოვი მაგვითითებდა: „ შვიდწლედის ბოლოდან არცთუ ისე ბევრი დრო დარჩა — სულ სამი წელიწადი. რა უნდა გააკეთოს თვითეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, რომ უზრუნველყოს წარმოების ასეთი დონე? ამისათვის მეტი წილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უნდა გადოვიდნენ პირველ მიჯნაზე, ე. ი. მიიღონ 75 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით 100 ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი ან ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სამარგულებზე“.

ეს ნათელი ამოცანა და ჩვენი მუშაობის ნამდვილი სარკეა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩვენ, ჯაფარიძელმა კოლმეურნეებმა, ჯერ კიდევ გასულ წელს მიზნად დავისახეთ აგვეღო პირველი მიჯნა, მაგრამ ხანგრძლივმა გვალვამ ხელი შეგვიშალა ამ მიზნის მიღწევაში. ვალდებულება შეუსრულებელი დაგვრჩა, თუმცა სულ ახლოს ვიყავით მიზნამდე.

არის თუ არა ჩვენს კოლმეურნეობაში იმის რეალური შესაძლებლობა, რომ მიმდინარე წელს ავიღოთ ხორცის წარმოების პირველი მიჯნა?

ყველაზე დიდი რეზერვი ჩვენი გასული წლების გამოცდილებაა. ავიღოთ, მაგალითად, რძის წარმოება. მე არ შეეხები ამ 9-10 წლის წინანდელ მაჩვენებლებს, როცა საშუალოდ ერთ ძროხაზე მხოლოდ 1.000 კილოგრამ რძეს ვწველიდით და მაინც ეს ჩვენს რაიონში ყველაზე მაღალ მაჩვენებლად ითვლებოდა. მხედველობაში მაქვს 1962 წელი, როცა გვალვისაგან თითქმის დაიწვა ჩვენი კოლმეურნეობის მინდვრები და ნათესები. ამის მიუხედავად, გადაპარებით შეავსრულეთ რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. 1.277 ტონის ნაცვლად ვაწარმოეთ 1.377 ტონა რძე და სახელმწიფოს 635 ტონის ნაცვლად მივყიდეთ 716,5 ტონა. საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 2.686 კილოგრამი რძე.

ცუდი მაჩვენებელი როდი გვაქვს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის დარგშიც. შარშან სახელმწიფოს მივყიდეთ 2.360 ცენტნერის ნაცვლად 2.586 ცენტნერი ხორცი, 200 ცენტნერის ნაცვლად 262 ცენტნერი მატყელი, გადაპარებით შესრულდა კვერცხის მიყიდვის გეგმაც.

ჩვენი კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმების მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გადაპარებით შესრულდა როგორც მეცხოველეობის საერთო საშალდობის, ისე სახეების მიხედვით გეგმები.

ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ 1962 წელსაც შეიძლებოდა ისეთივე უბედურობა ყოფილიყო, როგორც ეს წინა წელს იყო. ამიტომ 1961 წლის შემოდგომაზე შევუდექით მზადებას: დავთესეთ 350 ჰექტარი ქერი გასაძოვებელ. ჩვენი ვარაუდი გამართლდა, მაგრამ უბალახობა ნაკლებად შეგვეტყო, რადგან მეწველ პირუტყვს ნაკვეთ-მორიგებითი ძოვებისათვის უხვად ჰქონდა 350 ჰექტარზე ნოყიერი მწვანე მასა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ შარშან მეძროხეობის ფერმამ 100 ტონით გადააჭარბა რძის წარმოების გეგმას, ყოველ 100 ძროხაზე შეინარჩუნა 95 ხბო, ხოლო აწარმოვა 1.201 ცენტნერი ხორცი.

პარტიის XXII ყრილობის, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, რომ კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპი საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ამიტომ მატერიალური დაინტერესების პრინციპის სწორად გატარება კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური ზრუნვის საგანია. ამ მხრივ სასარგებლო დახმარებას გვიწევენ საწარმოო სამმართველოსა და მისი პარტიული კომიტეტის მუშაკები.

ახალი რეკომენდაციების მიხედვით გასული წლის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მწველავ მარიამ ჩიტაურს პრემიის სახით მიეცა 125 კილოგრამი კარაქი და 136 მანეთი, თამარ ჩოხელს — 219 კილოგრამი კარაქი და 230 მანეთი. მთლიანად ფერმის მუშაკებმა შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით 86.000 კილოგრამი რძე და 4.040 მანეთი მიიღეს. გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურება მიიღეს აგრეთვე მეცხვარეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმების მუშაკებმა.

საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის მთავარი ის არის, რომ სოფლის ყველა მეცხოვრები თვითონ დარწმუნდეს ასეთი მეურნეობის სიკეთეში. უკანასკნელ წლებში ჩვენს კოლმეურნეობაში განუხორციელეთ ღონისძიებანი, რომ კოლმეურნეები განთავისუფლებულიყვნენ პირად მეურნეობაში ზედმეტი, მომქანცავი შრომისაგან. უკვე მეოთხე წელია კოლმეურნეობა სოფელში სამ ადგილას ხელისაწვდომ ფასებში ჰყიდის რძესა და რძის პროდუქტებს. ამან ჯაფარიძის კოლმეურნეები დაარწმუნა იმაში, რომ საჭირო აღარ არის პირად სარგებლობაში იყოლიონ პირუტყვი. ამიტომ ბევრმა მაკრანმა საკუთარი პირუტყვი ნებაყოფლობით მიჰყიდა კოლმეურნეობას. აი ციფრებიც: თუ 9 წლის წინათ კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში 500-ზე მეტი ძროხა და 300-ზე მეტი ღორი იყო, ამჟამად პირად სარგებლობაში მყოფი ძროხების სულადობა შეეცირდა 15 სულამდე, ღორებისა — 60 სულამდე.

როგორია ჩვენი წლევანდელი გეგმები?

მთავარია მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლა. იმაზე, თუ როგორ მოვაწყობთ მარცვლეულის მეურნეობას, ბევრად არის დამოკიდებული სხვა დარგების წარმატებაც.

დროულად და მაღალხარისხოვნად დათესეთ საშემოდგომო კულტურები. ხორბალი 1.500 ჰექტარის ნაცვლად 2.027 ჰექტარ ფართობზე დავთესეთ, ხოლო ქერი—500 ჰექტარის ნაცვლად 683 ჰექტარი. ნათესები ამჟამად კარგად გამოიყურება. დამატებითი გამოკვებისათვის შევიტანეთ 900 ტონამდე ნაკელი. მინდვრის მავნებლებისა და სარეველა მცენარეების მოსასპობად ნათესები დამუშავებულია ჰერბიციდებითა და შხამქიმიკატებით. წელს ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ საშემოდგომო კულტურების უხვი მოსავალი მივიღოთ.

როცა გავეცანით კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს მშრომელთა მოწოდებას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და გამოუყენებელი რეზერვების აღმოჩენის შესახებ, ჩვენმა კოლმეურნეებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს და გადაწყვიტეს მთელი წლიური საწარმოო დავალება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღისათვის — 7 ნოემბრისათვის შეასრულონ.

აი ეს ვალდებულებებიც:

წელს ჰექტარ ურწყავ ფართობზე მივიღოთ საშალდოდ 20 ცენტნერი ხორბალი, 21 ცენტნერი ქერი, 25,5 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, 14 ცენტნერი მზესუმზირა, 50 ცენტნერი ჟარქანი, 200 ცენტნერი საკვები ჭარხალი და სხვ.

ჩვენი კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მუშაკთა ინიციატივაა ყოველ ორ ჰექტარ სახნავზე გაასუქონ თითო ღორი. სულ გაგასუქებთ და სახელმწიფოს მივყიდით 2.000 ღორს, თითოს საშუალოდ 80 კილოგრამი ცოცხალი წონისას.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯიც გადაიდგა. სახელმწიფოს უკვე ჩავბარეთ თითო 86 კილოგრამი საშუალო წონის 908 სული ღორი. ამჟამად ვასუქებთ კიდევ 804 სულ ღორს.

პრაქტიკულად იბრძვიან რა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, კოლმეურნეობის მეცხოველეებმა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალებები დიდი გადაჭარბებით გაასრულეს. სახელმწიფოს მივყიდეთ 110,3 ტონა ხორცი, ე. ი. წლიური გეგმის თითქმის ნახევარი, და გეგმა 284 პროცენტით შეასრულეთ; რძე — 380 ტონა, მაშინ როცა მთელი წლის განმავლობაში უნდა მივყიდოთ 648 ტონა. პირველი კვარტალის დავალება შესრულებულია 360 პროცენტით, 142 პროცენტით შესრულდა სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის გეგმაც.

ჩვენი კოლმეურნეობის მინდვრებზე მასობრივად გაჩაღდა საგაზაფხულო კულტურების თესვა. წელს 750 ჰექტარი სიმინდი უნდა დავთესოთ, მათ შორის კვადრატულ-ბუდობრივად — 600 ჰექტარი. ოთხმა მექანიზატორმა — აბრამ ბენაშვილმა, ვალერიან მენთეშაშვილმა, ივანე და სერგო გიგოლაშვილებმა გადაწყვიტეს მთელი 600 ჰექტარი ფართობი, თვითეულმა 150 ჰექტარი, კვადრატულ-ბუდობრივად დათესონ და კომპლექსური მექანიზაციით დაამუშაონ. ამასთან აბრამ ბენაშვილმა და ივანე გიგოლაშვილმა გამოუყვეს მაღალმოსავლიანი ნაკვეთები, საიდანაც გადაწყვიტეს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 60 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. მექანიზატორებმა უკვე დათესეს 300 ჰექტარზე მეტი. მარტო აბრამ ბენაშვილმა 75 ჰექტარი მზესუმზირა და 85 ჰექტარი სიმინდი დათესა.

მთელ რიგ სხვა რეზერვებთან ერთად, რასაც წელს ავამოქმედებთ, ერთ-ერთი დიდი და მთავარია ჩვენი კოლმეურნეობის მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ვინც მანქანების ყადრი არ იცის, ის უხვ მოსავალსაც ნუ ელოდება.

ამჟამად კოლმეურნეობის ყველა 30 ტრაქტორი სამუშაო მდგომარეობაშია და მინდვრად არის გატანილი. შეკეთებულია 12 კომბაინი, სრულ წესრიგშია მისაბმელი იარაღ-მანქანები.

ყველაზე მთავარი რეზერვი კი ჩვენთან ადამიანებია — დავით სეფიაშვილი, მარიამ ჩიტაური, აბრამ ბენაშვილი, ალექსი ქურციკაშვილი და ბევრი სხვა. სწორედ ისინი, რომელთა შრომა მისაბაძია სხვებისათვის. მათი გამოცდილება ყველგან უნდა გავახაროთ, როგორც ძვირფასი ნერგი.

ნ. ყოჩიაშვილი,
კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



კომუნისტები — საქმის ინიციატორები

უკანასკნელ ხანს კოლმეურნეობაში ბევრჯერ იჩენდნენ ახალ თაოსნობას, რაც დიდად უწყობს ხელს მეტი პროდუქტების წარმოებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას, კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებას. ყოველი სასარგებლო წინადადების ინიციატორები პირველ რიგში კომუნისტები არიან. პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 90 კომუნისტს აერთიანებს, მართლაც დიდი ძალაა, მუდამ რომ მხარში ედგას კოლმეურნეობის გამგეობას, რაზმავდეს თვითეულ კოლმეურნეს მათ წინაშე დასახული დიდი ამოცანების შესასრულებლად.

პარტიული ორგანიზაციის მთელი ცხოვრება უფრო შინაარსიანი და ხალისიანი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შემდეგ.

საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორი რ. თეთვაძე, რომელსაც პარტიული მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს, ხშირად არის ჩვენთან, გვირჩევს, თუ როგორ დავნერგოთ ამა თუ იმ მწველავის, მექანიზატორის გამოცდილება, რა საკითხები გამოგვრჩა მხედველობიდან წინადღეს, რომელ ბრიგადაში რა თემაზე მოეწყოს საუბარი და სხვ.

ინსპექტორ-პარტორგანიზატორს შეიძლება უთქვამს — მეც თქვენი ორგანიზაციის გამოცდილებიდან ბევრ რამეს ვსწავლობ. ისე კი, რომ ითქვას, მართლაც გვაქვს ერთგვარი გამოცდილება.

პარტიული ორგანიზაციასთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია პოლიტიკური განათლების კაბინეტი, რომელაც ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი გიორგი ყოჩიაშვილი. კაბინეტი აწყობს საუბრებს, ლექციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს. კაბინეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ყოველთვის მჭიდროდ უკავშირდება ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკის ამოცანებს. მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებაში კაბინეტი მეტად დიდ დახმარებას გვიწევს. აქ ეწყობა ჩვენი შუქურების — დავით სეფიაშვილის, მარიამ ჩიტაურისა და სხვა მოწინავე კოლმეურნეთა შეხვედრები.

სწორედ მოწინავე მეცხოველეთა წინადადებით ბევრი სასარგებლო რამ გაკეთდა მეძროხეობის ფერმაში. საქმეს კი სათავეში ჩაუდგა კაბინეტის გამგე, ზოოტექნიკოსი გ. ყოჩიაშვილი.

მაგალითად, მეძროხეობის ფერმაში ამჟამად ცალკე წარმოებს ხბოების გაზრდა ე. წ. ასლეტის მეთოდით.

რაში მდგომარეობს ამ მეთოდის უპირატესობა?

ყველა ხბო, მოგების 10 დღის შემდეგ, გადაჰყავთ სპეციალურ სახბორეში და იქ ეძვნ თვემდე უვლიან. სახბორეში შერჩეული არიან გამოცდილი მომვლელები. ზუსტად დაცულია ულუფა, სანიმშოა ზოოვეტმომსახურება, გამოყოფილია სპეციალურად ვეტფერმალი. ხბოების ცალკე გამოყოფა საშუალებას იძლევა გაძლიერდეს მათი მოვლა და კვება. და აი სიკვდილიანობაც ლიკვიდირებულია. მაგალითად, 1962 წელს მიღებული 494 ხბო და ზაკი მთლიანად შენარჩუნებულია, ადრე კი შენარჩუნების მხოლოდ 84-85 პროცენტი იყო. ამასთან, ხბოების სადღეღამისო მატება თუ წინათ 450-500 გრამი იყო, ამჟამად 650-750 გრამია.

აი მეორე საყურადღებო მაგალითი, რომელიც კომუნისტმა ზოოტექნიკოსმა გ. ყოჩიაშვილის ინიციატივით დაინერგა.

ამ ორი წლის წინათ რძის გადამუშავება ხდებოდა ადგილზეკი, მეძროხეობის ბრიგადებში. აქ ყოველთვის ვერ იცავდნენ სანიტარულ წესებს, დაჭსაქსული იყო რძის გადამუშავებელი მოწყობილობებიც, მომსახურე პერსონალიც. ახლა რძის გადამუშავება ერთ სპეციალურ საამქროში ხდება, სადაც დაცულია სანიტარული წესები. შემცირდა დანაკარგები. მუშახელი კი 5-ჯერ ნაკლებია საჭირო, ვიდრე წინათ.

იმ მიზნით, რომ კოლმეურნეობაში დაცული იქნას რძის მაღალი ცხიმიანობის პროცენტი და ადგილი არ ჰქონდეს დანაკარგებს, მოეწყო ბრიგადების მიხედვით ცხიმიანობის საზომი ლაბორატორიები. მეცხოველეობის მუშაკებს ახლა შრომადღეები დაერიცხებათ არა მარტო მოწველილი რძის რაოდენობის, არამედ აგრეთვე ცხიმიანობის მიხედვით. ეს დიდ სტიმულს იძლევა რძის ხარისხის ამაღლებისათვის.

მაგალითების მოყვანა სხვა დარგებიდანაც შეიძლება.

განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ მწველავ მარიამ ჩიტაურისა და მეღორე დავით სეფიაშვილის მოწინავე გამოცდილების სკოლები. დავით სეფიაშვილის გამოცდილებით კოლმეურნეობაში დამატებით აშენდა მსხვილ-ჯგუფური შენახვისათვის 450 სული ღორის ტევადობის ბინა.

უკვე კარგა ხანია მუშაობას შეუდგნენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ხელმძღვანელი ჯგუფი და საგუშაგოები. ხელმძღვანელ ჯგუფში 43 კაცია გაერთიანებული, ხოლო 11 საგუშაგო შექმნილია სხვადასხვა დარგების მიხედვით (მეცხოველეობა, მემინდვრეობა და სხვ.).

ხელმძღვანელობამ ჯგუფმა გამოავლინა, რომ ტრაქტორისტი შალვა ლეკაშვილი ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა კოლმეურნეობის გამგეობა და ზედმეტად დაერიცხა 43 შრომადღე. ხელმძღვანელობა ჯგუფის წინადადებით გამგეობამ გააუქმა არასწორად დარიცხული შრომადღეები.

ამას წინათ მეცხოველეობის ფერმის შენობის რემონტის დროს ტარიელ ლეკაშვილმა სცადა ფიცრების მოპარვა. კონტროლის ხელმძღვანელობა ჯგუფმა ეს ფაქტიც გამოაკლინა.

კონტროლის ხელმძღვანელობამ ჯგუფმა და საგუშაგოებმა შეამოწმეს საგაზაფხულო თესვის ხარისხი, ვადების დაცვა, საწვავის ხარჯვა და სხვ. ყველა ეს საკითხი მათ დააყენეს კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის წინაშე. ნაკლოვანებები ადგილზევე ოპერატიულად სწორდებოდა.

კომუნისტები თავიანთი შრომით საუკეთესო მაგალითს აძლევენ უპარტიო კოლმეურნეებს. მათ შორის არიან მევენახეობის ბრიგადების ხელმძღვანელები ნ. ნატროშვილი, ა. ტოკლიკიშვილი, მესიმინდე გ. შარმაზანაშვილი, მწველავი ი. გონაშვილი, მეღორეობის ფერმის გამგე დავით ბოსტოღლანაშვილი და სხვები.

გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტები არიან განაწილებულნი. მეცხოველეობაში შრომობს 38, მემინდვრეობაში — 31, ხოლო დაახმარე წარმოებაში 15 კომუნისტი. კოლმეურნეობაში ცალკეული დარგების მიხედვით შექმნილია 5 პარტიული ორგანიზაცია, რომლებიც ენერგიულად მეთაურობენ ცალკეულ დარგებში პროდუქციის ზრდისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საკითხებს.

ჩვეხი კოლმეურნეობა ერთდროულად ეჯიბრება ალტის მხარის რუბცოვსკი რაიონის კოლმეურნეობა „სტრანა სოვეტოვს“ და უკარლის საწარმოო სამმართველოს სოფელ აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს“. პარტიული ორგანიზაცია ამ შეჯიბრების სათავეშია. კოლმეურნეობის გამგეობასა და პარტიულ ორგანიზაციას დაწესებული აქვთ გამარჯვებული ფერმებისა და ბრიგადებისათვის გარდამავალი წითელი დროშები, აგრეთვე ფულადი პრემიები.

წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გავიმარჯვებთ — ასეთია ჯაფარიძის კოლმეურნეობის თვითეული წევრის რწმენა.

დ. ბოსტოღლანაშვილი,
კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

ასე შეასრულეს ჯაფარიძელმა კოლმეურნეებმა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება: ხორცისა — 284 პროცენტით; რძისა — 360 პროცენტით; კვერცხისა — 142 პროცენტით.

მათ გადაწყვიტეს: 7 ნოემბრისათვის ყოველ ორ ჰექტარ სახნავზე გაასუქონ თითო ღორი, სულ 2.000 სული. ამავე დღისათვის გაანაღდონ მთელი წლიური საწარმოო დავალება.

ჩვენი რეზერვები

ჩვენს კოლმეურნეობას მთელ საწარმოო სამმართველოში სამართლიანად აქებენ. უკანასკნელ წლებში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 2.700-2.800 ლიტრ რძეს ვიღებთ. მაგრამ ყველაფერი შედარებითია. ვიბრძვით იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში საშუალოდ ერთი ძროხის წველადობა მთელ კოლმეურნეობაში 3.200-3.300 ლიტრამდე აეიყვანოთ. რა თქმა უნდა, ამ ამოცანის შესრულება ძნელი როდია. ასეთ მაჩვენებლებს გასულ წელს უკვე მივაღწიეთ. როგორც მე, ისე მწველავებმა ივანე ქადაგიძემ, ზაირა ალანიშვილმა, თამარ ჩოხელმა და სხვ. შარშან საშუალოდ ერთ ძროხაზე 4.000 ლიტრზე მეტი რძე მივიღე.

მაგრამ ჩვენი ამოცანა მარტო ეს როდია. ვიბრძვით აგრეთვე იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად ავამაღლოთ რძის ცხიმიანობა. ამ მხრივ ფერმაში ბევრი სასარგებლო წინადადება განხორციელდა. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ-ერთს.

ფერმაში უკვე მასობრივად არის დანერგილი ხბოების კვება კამეჩის რძით. ამ მეთოდის დანერგვის მოთავეა გიორგი დალაქიშვილი, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ჩვენს კოლმეურნეობაში ზოოტექნიკოსად.

რაშია ამ მეთოდის უპირატესობა?

ხბოებს 3 დღის ასაკიდანვე ეძლევათ კამეჩის რძე. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კამეჩის რძით ნაკვები ხბოები უფრო მატულობენ წონაში, ვიდრე ჩვეულებრივი ძროხის რძით. ამავე დროს კამეჩის რძით გაზრდილი ხბოები, როცა ძროხის ასაკში გადადიან, გაცილებით უფრო ნოყიერ რძეს იძლევიან.

მაგალითად, ძროხა „ღამურა“ ხბოს ასაკში კამეჩის რძით იკვებებოდა, ახლა იძლევა რძეს, რომლის ცხიმიანობა 6,1 პროცენტია. ხოლო ძროხების „ნაბლასა“ და „მაისს“ რძე 5-5,2 პროცენტ ცხიმს შეიცავს, მაშინ როცა ჩვეულებრივად ძროხის რძის ცხიმიანობა ჩვენთან 4 პროცენტზე დაბალი იყო.

წელს ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გავადიდოთ რძის წარმოება, გავუმჯობესოთ მისი ხარისხი.

მ. ჩიტაური,
მწველავი.

ამ რამდენიმე დღის წინ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმას ესტუმრა გურჯაანის საწარმოო სამმართველოს მეცხოველეობის მუშაკთა ერთი ჯგუფი. გურჯაანელები გულდასმით გაეცნენ ჯაფარიძელ მეღორეთა გამოცდილებას — შრომის ორგანიზაციას, ღორების მოვლისა და გასუქების მოწინავე მეთოდებს, კვების რეჟიმს და სხვ. სურათზე: გურჯაანელი მეცხოველეები ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გავასუქებთ ორი ათასზე მეტ ღორს

დაიწყო თუ არა შვიდწლედის მეხუთე წელი, ჩვენ, მეღორეობის ფერმის მუშაკებმაც, გავაჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება მეტი ხორცის წარმოებისათვის. გეგმათ წელს უნდა გავასუქოთ და სახელმწიფოს მივყიდოთ 1.500 სული ღორი.

და აი როცა მიმდინარე წლის 5 მარტს სიღნაღში საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობათა მოწინავე მეღორეები შეიკრიბნენ, ყველანი განსაკუთრებით ჩვენ, ჯაფარიძელ მეცხოველეებს, მოგვგზავნეს მოგზავნილები.

რაში იყო საქმე?

გადავწყვიტეთ გავასუქოთ არა 1.500 სული ღორი, არამედ ყოველ ორ ჰექტარზე თითო ღორი.

საწარმოო სამმართველოს სხვადასხვა კოლმეურნეობიდან მეღორეები გვეკითხებოდნენ, რა გზებით, რა საშუალებებით შეძლებთ ამას, რა რეზერვები გაქვთო.

ერთბაშად იქნებ ძნელიც იყოს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ჰოდა მე უბრალოდ ვუპასუხებდი, სამე შეიყვარეთ, ღორს კარგი მოვლა უყვარს, სამაგიეროდ ხორცსაც სწრაფად და უხვად მოგცემთ-მეთქი. შემდეგ მათ დაუწერლებით მოვუყევი, თუ ჩემს დამხმარე ივანე ბალაკშენკოსთან ერთად გასულ წელს როგორ გავასუქეთ 1.080 სული ღორი და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 912 ცენტნერი ცოცხალი წონით.

წლის დასაწყისისათვის ფერმაში 1.086 ჯოგი და ბურვაკი იყო. მიმდინარე წელს კი 2.100 ჯოგის მიღებასა და გასუქებას ვითვალისწინებთ, რაც ერთ ნეზეზე 17-ს, ხოლო ერთჯერადზე 5 ჯოგს შეადგენს.

ფერმის მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გავასუქეთ და სახელმწიფოს პირველ კვარტალში მივყიდეთ 906 ღორი 77.800 კილოგრამი ცოცხალი წონისა. **ღორის ხორცი სამ თვეში ვაწარმოეთ იმდენი, რომ იგი 8.744 კილოგრამით სჭარბობს არა თუ პირველი კვარტალის, არამედ ნახევარი წლის გეგმასაც.**

რა ღონისძიებებს ვახორციელებთ ღორის ხორცის წარმოების გასადიდებლად?

ჩვენს შრომას უნარიანად წარმართავს ფერმის გამგე დავით ბოსტოღლანაშვილი. ღორის ხორცის წარმოების გაიაფებისათვის იგი ყოველთვის ახალი და ახალი რეზერვების ძიებაშია. გარდა იმისა, რომ მოზარდ და გასასუქებელ ღორს ადრე გაზაფხულიდან ვგიან შემოდგომამდე განუწყვეტლივ საკმარისი რაოდენობით ვაძლევთ იონჯის მწვანე მასას, წელს სასუქი ფარდულის წინა მოედანზე 12 ჰექტარი საკვები ჭარხალი დავთესეთ. ამით არა მარტო ორჯერ შემცირდება კომბინირებული საკვების ხარჯვა, არამედ **სანახევროდ გავაიაფებთ ცენტნერი ხორცის თვითღირებულებასაც.**

შარშან შრომა კარგად დაგვიფასდა. ვაწარმოეთ 1.535 ცენტნერი და სახელმწიფოს მივყიდეთ 1.355 ცენტნერი ღორის ხორცი. ამ წარმატებისათვის ფერმის მუშაკებმა მარტო შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით 5.404 მანეთი პრემია მივიღეთ. მე 412 მანეთი მერგო, ალექსი ქურციკაშვილს — 275, დავით ბოსტოღლანაშვილს — 744 მანეთი და ა. შ.

ახლა ჩვენთანაც მუშაობის ცხარე დღეებია. ალექსი ქურციკაშვილი, რომელიც 15 დედაღორს უვლის, 10 ღორიდან უკვე მიღებულ ნამატს — 90 გოჯს ითვლის. პირველი დოლი კარგად დაიწყო ქურციკაშვილის ჯგუფში.

დ. სეფიაშვილი,
მეღორე.

საწარმოო სამმართველოს შუქურა

მთელი დღე გამუდმებით წვიმდა. მხოლოდ საღამოხანს გამოიდარა. ტალახში ჩურჩხელასავით ამოვლებულმა ძანქანამ ერთი კიდეე დაიღმუვლა და სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის კანტორის ეზოში გაჩერდა. შენობის მეორე სართულზე მხოლოდ მოანგარიშეები ფუფუფუსებდნენ.

— თავმჯდომარე სად არის? — ვკითხეთ.

— აქვეა, სოფლის ბოლოს, ახალ მანქანას ცდიან.

— მერე და რა მანქანაა ასეთი?

— ხელოვნური დასაწვიმებელი, გუშინ მივიღეთ...

სიმართლე გითხრათ, ჩვენც ძალიან დაგვაინტერესა ამ ცნობამ და იქით გავემართეთ, სადაც ტრაქტორზე გამობმულ რაღაც თითქოს უბრალო მოწყობილობას დინგი წყალში ჩაეყო, ხოლო ორი მილი მაღლა ჰაერში ულვაშებივით გადაეჭიმა და ორივე მხარეს საკმაოდ დიდ მანძილზე წყალს აფრქვევდა.

— ერთი შეხედეთ, — მისალმებისთანავე აღტაცებით გვითხრა თავმჯდომარემ, — ნამდვილ წვიმას არა ჰგავს! ახლა ამ ორი მანქანით საკმაოდ დიდი ფართობის დაწვიმება შეგვიძლია. რა გვალვაც უნდა იყოს, ბოსტნეულს მაინც მოვიყვანთ და პირუტყვსაც მწვანე საკვებს არ დავულევთ. ოღონდ ზ

ზეიმობს მეგობრობის ლენინური იდეა

ამერიკაკავკასიის ხალხთა ძმეგის ნათელი გზა

საბჭოთა ქვეყნის ხალხების ურღვევი მეგობრობის, ერთიანობისა და დარაზმულობის დიადი ლენინური იდეები აღბეჭდილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უძლეველ დროშაზე. მთელი თავისი დიდი და სახელოვანი ისტორიის მანძილზე პარტია შეუპოვრად და თანმიმდევრულად ატარებდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უკვდავ იდეებს, ახორციელებდა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, რომელმაც თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვა სკკპ ახალ პროგრამაში, რომელიც მიღებულ იქნა ჩვენი პარტიის ისტორიულ XXII ყრილობაზე.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა ვითარდებოდა, მტაცებლობა მშრომელთა ხელისუფლების დამყარებისათვის, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის მუშათა კლასისა და გლეხობის გმირულ ბრძოლებში. ხალხთა მეგობრობა გადაიქცა ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების ურყევ საფუძვლად, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძალად.

ხალხთა დიადი მეგობრობის ლენინურ იდეას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკაკავკასიის ხალხებისათვის, რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებისათვის, სადაც ცარიზმი ნერგავდა შოვინიზმსა და ეროვნულ მტრობას.

ერთა მეგობრობის ლენინური იდეა კეთილმყოფელ ნიადაგს ხვდებოდა ამერიკაკავკასიაში, სადაც სხვადასხვა ეროვნებათა პროლეტარების ინტერესთა ერთიანობის, ხალხთა შორის მეგობრობის ლენინური იდეისათვის ბრძოლის დროშა პირველად აღმართეს ამერიკაკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლმა რაზმებმა.

ამერიკაკავკასიის ეროვნებათა ინტერნაციონალური დარაზმვისათვის ბრძოლის გზაზე პირველ და ყველაზე მთავარ ნაბიჯს წარმოადგენდა ლენინურ-სტალინური ორგანიზაციების შექმნა, რომელთა მუშაობას საფუძვლად დაედო ერთადერთი სწორი ინტერნაციონალური პრინციპი. ამერიკაკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები თავიდანვე ამ დიადი ლენინური პრინციპის საფუძველზე შენდებოდა. ისინი ყოველთვის უაღრესად ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდნენ. ამან კი თავის მხრივ უზრუნველყო ამერიკაკავკასიაში მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ხასიათი.

ამერიკაკავკასიის ეროვნებათა შორის ურთიერთ ნდობისა და მეგობრობის დამყარებაში, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პროფესიონალი რევოლუციონერების — პროპაგანდისტებისა და ორგანიზატორების მრავალრიცხოვანმა კადრებმა, რომელთა შორისაც იყვნენ რუსი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ხალხების საუკეთესო შვილები. ისინი ყოველთვის და ყველგან, სადაც კი ოდნავ შესაძლებლობა იყო, მუშათა ლეგალურ და არალეგალურ კრებებზე და სხვადასხვა დისკუსიების დროს, კაკასიის მშრომელთა მრავალეროვან მასებს შორის ეწეოდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების პროპაგანდას, შეუპოვრად იბრძოდნენ ყველა ჯურის ნაციონალისტების წინააღმდეგ.

